



2025 წლის სახელმწიფო
ბიუჯეტის იანვარ-სექტემბრის
შესრულების

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2025
ოქტომბერი

ძირითადი მაჩვენებლები (მლნ ლარი)

შემოსულობები - 20,489.1 მლნ ლარი

102.4%

9 თვის
გეგმის

74.3%

წლიური
გეგმის

გადასახდელები - 19,277.7 მლნ ლარი

93.3%

9 თვის
გეგმის

69.0%



წლიური
გეგმის

ნაშთის ცვლილება
1,211.5 მლნ ლარი


საოპერაციო სალდო
1,844.7 მლნ ლარი

მთლიანი სალდო
61.2 მლნ ლარი


შემოსულობების და გადასახდელების კომპონენტები



გადასახადების სტრუქტურა





ხარჯების სტრუქტურა



სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლები

„საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით, შემოსულობების წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,560.8 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-სექტემბერში მიღებული შემოსულობები 20,489.1 მლნ ლარს (წლიური გეგმის 74.3%) შეადგენს და წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 1,486.4 მლნ ლარით (7.8%-ით) აღემატება.

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გადასახდელებს წლიური გეგმა განსაზღვრულია 27,941.7 მლნ ლარის ოდენობით. 2025 წლის იანვარ-სექტემბერში ბიუჯეტიდან გაწეული გადასახდელები 19,277.7 მლნ ლარს (წლიური გეგმის 69.0%) შეადგენს, რაც 1,029.2 მლნ ლარით (5.6%-ით) მეტია წინა წლის 9 თვის მაჩვენებელთან შედარებით.




სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობების 9 თვის გეგმა^[1] განსაზღვრულია 20,013.1 მლნ ლარით, ხოლო 9 თვეში მიღებული შემოსულობები გეგმის 102.4%-ს შეადგენს. შემოსულობების კომპონენტებს რაც შეეხება, 9 თვის გეგმის მიმართ, ყველა კომპონენტი, გარდა ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობებისა (97.1%), გადაჭარბებით ხასიათდება: შემოსავლები 102.5%-ს შეადგენს, ხოლო ფინანსური და არაფინანსური აქტივების კლების მუხლებით შემოსულობები მნიშვნელოვანი, შესაბამისად, 36.4%-იანი და 14.9%-იანი დადებითი გადახრით გამოირჩევა.


სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელების 9 თვის გეგმა განსაზღვრულია 20,669.1 მლნ ლარის ოდენობით, 9 თვის ფაქტობრივი მაჩვენებელი კი გეგმის 93.3%-ს შეადგენს. რაც შეეხება 9 თვის გეგმის შესრულებას გადასახდელების კომპონენტების მიხედვით, 9 თვის გეგმის შესრულების მხრივ, ხარჯებისა და ვალდებულებების კლების კომპონენტები კარგი მაჩვენებლებით ხასიათდება (შესაბამისად, 97.9% და 99.4%), ფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტი გადაჭარბებით გამოირჩევა (123.0%), ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელებს დაბალი მაჩვენებელი აქვს (65.1%).

[1] „საქართველოს 2025 წლის ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლების, არაფინანსური აქტივების კლების და ფინანსური აქტივების კლების და საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის №434 ბრძანება.

შემოსულობების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)




გადასახდელების კომპონენტების დაგეგმილი და ფაქტობრივი მაჩვენებლები (მლნ ლარი)



2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, 9 თვეში, 1,844.7 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - 61.2 მლნ ლარი. მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია 2021-2025 წლების 9 თვის საოპერაციო სალდოსა და მთლიანი სალდოს მაჩვენებლები.

რაც შეეხება ნაშთის ცვლილებას, 2025 წლის დასაწყისისათვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთის მოცულობამ 1,386.2 მლნ ლარი შეადგინა. იანვარ-სექტემბერში მიღებული შემოსულობების და განეული გადასახდელების გათვალისწინებით, ნაშთის დაგროვება 1,211.5 მლნ ლარს გაუტოლდა და 2025 წლის 1 ოქტომბრისთვის, სახელმწიფო ბიუჯეტის ნაშთი 2,597.6 მლნ ლარის ოდენობით განისაზღვრა.


საოპერაციო სალდო და მთლიანი სალდო 2021-2025 წლების 9 თვეში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების სექტემბრის მარჯვენა მხარე


2025 წლის სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 2,812.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც აგვისტოს მარჯვენა მხარეზე 809.3 მლნ ლარით მეტია, ხოლო წინა წლის სექტემბრის მარჯვენა მხარეზე 490.2 მლნ ლარით აღემატება (ძირითადად, შემოსავლებისა და ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ზრდის გავლენით). რაც შეეხება 2025 წლის სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეულ გადასახდელებს, მისი ოდენობა 2,238.6 მლნ ლარს შეადგენს, რაც აგვისტოს მარჯვენა მხარეზე 277.6 მლნ ლარით აღემატება, ხოლო 2024 წლის სექტემბრის მარჯვენა მხარეზე შედარებით 262.5 მლნ ლარით გაზრდილია.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები და გადასახდელები, 2023-2025 წლებში თვეების მიხედვით (მლნ ლარი)




რაც შეეხება სექტემბერში სახელმწიფო ბიუჯეტში მიღებული შემოსულობებისა და გაწეული გადასახდელების კომპონენტებს:


შემოსავლების სახით 2,128.4 მლნ ლარია მიღებული (შემოსულობების 75.7%), ვალდებულებების აღების შედეგად შემოსული სახსრები 637.4 მლნ ლარს შეადგენს (შემოსულობების 22.7%), არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტების მარჯვენა მხარე კი, შესაბამისად, 45.7 მლნ ლარს და 1.0 მლნ ლარს უტოლდება.



სექტემბერში გაწეული ხარჯების მოცულობა 1,762.5 მლნ ლარს შეადგენს, არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები 311.2 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო ფინანსური აქტივების ზრდისა და ვალდებულებების კლების კომპონენტების მარჯვენა მხარე - შესაბამისად, 59.7 მლნ ლარს და 105.1 მლნ ლარს.




საგადასახადო შემოსავლები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



შემოსულობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გადასახადების მიმოხილვა, რაზეც სექტემბერში მიღებული მთლიანი შემოსულობების 71.1% და შემოსავლების 94.0% მოდის. კერძოდ: სახელმწიფო ბიუჯეტმა, სექტემბერში, გადასახადებიდან 2,000.4 მლნ ლარი მიიღო, აგვისტოს მარჯვენებელზე 274.7 მლნ ლარით (15.9%-ით) მეტი. წინა თვესთან შედარებით, ყველა სახის გადასახადი (გარდა საშემოსავლო გადასახადისა, რომელიც მცირედით, 4.5%-ით ჩამორჩება აგვისტოს მარჯვენებელს) მომატებულია, კერძოდ: მოგების გადასახადი გაზრდილია 152.1 მლნ ლარით, დღგ - 96.0 მლნ ლარით, აქციზი - 12.6 მლნ ლარით (ძირითადად, იმპორტირებული ბენზინისა და დიზელის დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავლის მატების გავლენით), ხოლო იმპორტის გადასახადი - 1.1 მლნ ლარით. რაც შეეხება სხვა გადასახადს^[2], მისი მოცულობა 41.7 მლნ ლარით (45.5 მლნ ლარამდე) გაზრდილია.

ხარჯები თვეების მიხედვით (მლნ ლარი)



ხარჯების სახით (რომელიც გადასახდელების ყველაზე დიდი კომპონენტია და მის 78.7%-ს შეადგენს), სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 1,762.5 მლნ ლარი გაიწია, წინა თვის მარჯვენებელზე 154.2 მლნ ლარით (9.6%-ით) მეტი, რაც ძირითადად, სუბსიდიებისა და სხვა ხარჯების მნიშვნელოვან ზრდას უკავშირდება (შესაბამისად, 79.7 მლნ ლარით და 92.5 მლნ ლარით). გაზრდილია, აგრეთვე, გრანტებისა (27.3 მლნ ლარით) და სოციალური უზრუნველყოფის (35.7 მლნ ლარით) ხარჯები, ხოლო შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები თითქმის უტოლდება (0.6 მლნ ლარით ჩამორჩება) წინა თვის მარჯვენებელს. სხვა დანაწინი სახის ხარჯები შემცირებულია: პროცენტი - 61.5 მლნ ლარით, საქონლისა და მომსახურების ხარჯები - 18.9 მლნ ლარით.

რაც შეეხება საოპერაციო სალდოს და მთლიან სალდოს, 2025 წლის სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ 365.9 მლნ ლარი შეადგინა, ხოლო მთლიანმა სალდომ - 100.4 მლნ ლარი.


გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ სექტემბერში მიღებული შემოსულობებისა (2,812.5 მლნ ლარი) და გაწეული გადასახდელების (2,238.6 მლნ ლარი) გათვალისწინებით, ნაშთის ცვლილება (დაგროვება) 573.9 მლნ ლარი შეადგინა.

[2] 2016 წელს სახაზინო კოდექსის სისტემაში განხორციელებული რეფორმის საფუძველზე, დეკლარაციის ვადის დადგომამდე გადახდილი გადასახადის აღრიცხვა ხორციელდება „სხვა გადასახადის“ მუხლში, საიდანაც დეკლარაციის ვადის დადგომის შემდეგ ხდება მათი გადატანა გადასახადის შესაბამის სახეში. ამასთან, ამავე მუხლიდან ხორციელდება თანხის გადატანა გადასახადების ზედმეტად გადახდილი თანხების დაბრუნების ქვეანგარიშზე, შესაბამისად, სხვა გადასახადის მარჯვენებელი კონკრეტულ საანგარიშო პერიოდში შესაძლებელია იყოს როგორც დადებითი, ისევე უარყოფითი სიდიდე.

სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები

2025 წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობებმა 20,489.1 მლნ ლარი შეადგინა. შემოსულობების ფორმირება, ძირითადად, შემოსავლებისა და აგრეთვე, ვალდებულებების ზრდის კომპონენტების ხარჯზე განხორციელდა, რომელთა წილობრივი მაჩვენებლებიც შემოსულობების, შესაბამისად, 86.7%-ს და 10.7%-ს უტოლდება. შემოსავლები, როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად შემოსულობებში, 2023-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია (2023 წელს შემოსავლების წილობრივი მაჩვენებელი შემოსულობების 83.5%-ს შეადგენს, 2024 წელს - 85.3%-ს), ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობების ნომინალური და წილობრივი მაჩვენებლები კი, შემცირებულია (2023 წელს - 14.6% და 2024 წელს - 12.3%-ია). რაც შეეხება არაფინანსური და ფინანსური აქტივების კლების კომპონენტებს, 2025 წლის 9 თვეში, აღნიშნული შემოსულობების ჯამური წილი შემოსულობებში მცირეა და 2.6%-ს შეადგენს (2024 წელს 2.4%-ია, ხოლო 2023 წელს - 2.0%).

სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის შემოსულობების კომპონენტები (მლნ ლარი)




შემოსავლების სახით, 9 თვეში, 17,767.1 მლნ ლარია მიღებული, 9 თვის გეგმის 102.5% და წლიური გეგმის 75.8%, წინა წლის მაჩვენებელზე 1,554.1 მლნ ლარით (9.6%-ით) მეტი. რაც შეეხება 9 თვის გეგმის შესრულებას შემოსავლების კომპონენტების მიხედვით, სამივე კომპონენტი გადაჭარბებით ხასიათდება, თუმცა გრანტები და სხვა შემოსავლები მნიშვნელოვანი დადებითი გადახრით გამოირჩევა.

იანვარ-სექტემბერში მიღებული გადასახადები 16,176.2 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 100.1%-ს და წლიური გეგმის 73.9%-ს შეადგენს. ცალკეული სახის გადასახადის მიხედვით, 9 თვის გეგმის შესრულების მაჩვენებლები 91.2% - 101.3%-ის ფარგლებშია (მ.შ. მოგების გადასახადი - ყველაზე დაბალი და საშემოსავლო გადასახადი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევა). რაც შეეხება სხვა გადასახადებს, აღნიშნული გადასახადის 9 თვის გეგმა 200.0 მლნ ლარით არის განსაზღვრული, ფაქტობრივად კი 488.8 მლნ ლარს შეადგენს.

2024 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, გადასახადები 1,292.8 მლნ ლარით (8.7%-ით) გაზრდილია, რაც ძირითადად, საშემოსავლო გადასახადის 12.7%-იან ზრდას, აგრეთვე, დღგ-ის (6.0%-ით) მატებას უკავშირდება.

წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, საშემოსავლო გადასახადის მატება დაკავშირებულია, ძირითადად, დამქირავებლის მიერ დაკავებული საშემოსავლო გადასახადის 518.6 მლნ ლარით (12.4%-ით) ზრდასთან. რაც შეეხება დღგ-ს, იანვარ-სექტემბერში, დღგ-ის სახით, სახელმწიფო ბიუჯეტში ჩაირიცხა 5,923.4 მლნ ლარი, წინა წელთან შედარებით 336.8 მლნ ლარით (6.0%-ით) მეტი (მ.შ. საქართველოს ტერიტორიაზე რეალიზებული პროდუქციიდან და გაწეული მომსახურებიდან დღგ გაზრდილია 181.6 მლნ ლარით, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან - 155.2 მლნ ლარით). აქციზი, წინა წელთან შედარებით, 3.9%-ით (72.0 მლნ ლარით) გაზრდილია, ერთი მხრივ, ადგილობრივი პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 42.0 მლნ ლარით შემცირებისა და მეორე მხრივ, იმპორტირებული პროდუქციის დაბეგვრიდან შემოსავლის 114.0 მლნ ლარით მატების გავლენით (მ.შ. იმპორტირებული თამბაქოს დაბეგვრიდან სააქციზო შემოსავალი 62.2 მლნ ლარით გაზრდილია, იმპორტირებული ბენზინისა და მსუბუქი ავტომობილების დაბეგვრიდან კი - შესაბამისად, 24.5 მლნ ლარით და 28.3 მლნ ლარით).

სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლები 2024-2025 წლების 9 თვეში (მლნ ლარი)



გრანტების სახით მიღებული შემოსავლები 38.2%-ით აჭარბებს 9 თვის გეგმის მაჩვენებელს და 199.7 მლნ ლარს, წლიური გეგმის 99.9%-ს შეადგენს. აღნიშნული გადაჭარბება დაკავშირებულია ცენტრალური ბიუჯეტის სსიპ-ებიდან, გრანტის სახით (115.7 მლნ ლარის ოდენობით) შემოსავლის 10.2%-იანი გადაჭარბებით მიღებასთან და საბიუჯეტო ორგანიზაციებზე დონორების მიერ გამოყოფილ მიზნობრივი დანიშნულების გრანტებთან, რომლის სახით 9 თვეში მიღებულია 55.5 მლნ ლარი (აღნიშნული სახის გრანტი გეგმით არ გაითვალისწინება და შესაბამისად, გავლენას ახდენს გრანტების ჯამური მოცულობის ზრდაზე). გარდა ამისა, ბიუჯეტში შემოსულია საინვესტიციო გრანტები, 28.6 მლნ ლარის ოდენობით, რაც 9 თვის გეგმის 72.4%-ს უტოლდება.

სხვა შემოსავლები 9 თვის გეგმის მიმართ 34.6%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 1,391.2 მლნ ლარს აღწევს, რაც წლიური გეგმის მაჩვენებელს (3.1%-ით) უკვე აღემატება. აღნიშნული გადაჭარბება საკუთრებიდან შემოსავლების, კერძოდ, ეროვნული ბანკის მოგებიდან ბიუჯეტში მნიშვნელოვანი, 370.1 მლნ ლარიანი მეტობით (670.1 მლნ ლარის ოდენობით) თანხის ჩარიცხვას უკავშირდება. გარდა ამისა, მნიშვნელოვანი შემოსავლებია, ასევე, მიღებული პროცენტისა (220.4 მლნ ლარი) და არაკლასიფიცირებული ტრანსფერების სახით (224.8 მლნ ლარი).

არაფინანსური აქტივების კლების მუხლით შემოსულობები (262.0 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 114.9%-ს და წლიური გეგმის 87.3%-ს შეადგენს, ხოლო წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 80.3 მლნ ლარით (44.2%-ით) აღემატება. აღნიშნული შემოსულობების 51.5% (134.9 მლნ ლარი) ძირითადი აქტივების რეალიზაციიდანაა მიღებული, 48.5% (127.1 მლნ ლარი) - არაწარმოებული აქტივების რეალიზაციიდან, მ.შ. 25.7 მლნ ლარი - მიწის რეალიზაციიდან შემოვიდა, ხოლო 101.4 მლნ ლარი (9 თვის გეგმის 129.5%) - რადიოსიხშირული სპექტრით სარგებლობის ლიცენზიიდან (წინა წელს აღნიშნული შემოსულობები 2.1 მლნ ლარს შეადგენდა).

ფინანსური აქტივების კლების მუხლით (ძირითადად, გაცემული სესხების დაბრუნებიდან) შემოსულობები, 9 თვის გეგმის მიმართ, 36.4%-იანი გადაჭარბებით გამოირჩევა და 270.2 მლნ ლარს შეადგენს (წლიური გეგმის 67.5%), წინა წლის მაჩვენებელს კი 1.2 მლნ ლარით (0.5%-ით) აღემატება.

ვალდებულებების ზრდის მუხლით შემოსულობები, 2,189.8 მლნ ლარს, 9 თვის გეგმის 97.1%-ს (წლიური გეგმის 63.9%-ს) შეადგენს. მ.შ. საგარეო წყაროდან ჩარიცხული სახსრები 1,067.8 მლნ ლარს უტოლდება, ხოლო საშინაო წყაროდან (სახაზინო ვალდებულებებისა და სახაზინო ობლიგაციების გამოშვებისა და დაფარვის შედეგად) მიღებული წმინდა შემოსულობა - 1,122.1 მლნ ლარს (9 თვის გეგმის 98.8%).


საგარეო წყაროდან თანხების ძირითად ნაწილს, 628.3 მლნ ლარის ოდენობით, საინვესტიციო კრედიტები წარმოადგენს (9 თვის გეგმის 76.7%), ბიუჯეტის მხარდამჭერი კრედიტები კი, 439.4 მლნ ლარს შეადგენს (აქედან. 365.2 მლნ ლარი სექტემბერშია მიღებული), რაც 9 თვის გეგმის 146.5%-ს აღწევს.

	9 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების ზრდა	2,189.8	97.1%	63.9%
საშინაო	1,122.1	98.8%	70.1%
საგარეო	1,067.8	95.4%	58.5%
საბიუჯეტო კრედიტები	439.4	146.5%	73.2%
საინვესტიციო კრედიტები	628.3	76.7%	51.3%

სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები

2025 წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელებმა 19,277.7 მლნ ლარი შეადგინა. ძირითადი წილი, 82.6%-ის ოდენობით, ხარჯებზე მოდის, რომელიც როგორც ნომინალურ გამოხატულებაში, ასევე, წილობრივად გადასახდელებში, 2023-2024 წლებთან შედარებით, გაზრდილია. კერძოდ: 2023 წლის იანვარ-სექტემბერში, ხარჯების წილი გადასახდელებში 76.7%-ს შეადგენდა, ხოლო 2024 წლის იანვარ-სექტემბერში - 77.9%-ს. რაც შეეხება გადასახდელების დანარჩენ 3 კომპონენტს (არაფინანსური აქტივების ზრდას, ფინანსური აქტივების ზრდასა და ვალდებულებების კლებას), 2025 წლის იანვარ-სექტემბერში, მთლიან გადასახდელებში არაფინანსური აქტივების ზრდის კომპონენტის წილობრივმა მაჩვენებელმა 10.6% შეადგინა, ფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელმა - 1.4% და ვალდებულებების კლების მაჩვენებელმა - 5.4%. 2024 წლის იანვარ-სექტემბერში, მათი წილი გადასახდელებში გადანაწილებული იყო, შესაბამისად, 16.0%-ის, 1.0%-ის და 5.1%-ის ოდენობებით, ხოლო, 2023 წლის იანვარ-სექტემბერში - 16.8%-ის, 1.3%-ის და 5.2%-ის ოდენობებით.


სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის გადასახდელების კომპონენტები (მლნ ლარი)



მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში, ხარჯებმა 15,922.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც 9 თვის გეგმის 97.9% და წლიური გეგმის 72.9%-ია. 9 თვის გეგმასთან მიმართებით, გრანტების (105.7%), სუბსიდიების (102.8%), სოციალური უზრუნველყოფის (101.9%) და სხვა ხარჯების (97.7%) მუხლები შესრულების კარგი მაჩვენებლით გამოირჩევა, ხოლო საქონლისა და მომსახურების (86.0%), შრომის ანაზღაურების (92.9%) და პროცენტის (94.8%) მუხლები შესრულების შედარებით დაბალი დონით ხასიათდება. ხარჯების მოცულობა, 2024 წლის 9 თვის მაჩვენებელთან შედარებით, 1,704.9 მლნ ლარით (12.0%-ით) გაზრდილია, რაც დაკავშირებულია ხარჯების ყველა კომპონენტის მატებასთან, ძირითადად, სოციალური უზრუნველყოფის მუხლით გაწეული ხარჯების მნიშვნელოვანი (705.6 მლნ ლარით) ზრდის გავლენით.


პროცენტის მუხლით გაწეული ხარჯების მთლიანი მოცულობიდან (1,365.8 მლნ ლარი), საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე მიიხარტა 807.0 მლნ ლარი, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებაზე კი - 558.8 მლნ ლარი. რაც შეეხება სოციალურ უზრუნველყოფას (6,446.3 მლნ ლარი), აღნიშნული ხარჯების დიდი წილი გაიწია მოსახლეობის სოციალური დაცვისა (4,678.2 მლნ ლარი) და მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის (1,292.9 მლნ ლარი), აგრეთვე, დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსების (355.0 მლნ ლარი) პროგრამების ფარგლებში.

სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები 2024-2025 წლების 9 თვეში (მლნ ლარი)



არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (2,045.5 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 65.1%-ს და წლიური გეგმის 48.0%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი წილი საგზაო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (905.7 მლნ ლარი) მიიმართა. მნიშვნელოვანი თანხები დაიხარჯა, აგრეთვე, ზოგადსაგანმანათლებლო და სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების მშენებლობა-რეაბილიტაციაზე (158.3 მლნ ლარი), თავდაცვის შესაძლებლობების განვითარებაზე (139.0 მლნ ლარი), განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (138.9 მლნ ლარი), თავდაცვის სამინისტროს ინფრასტრუქტურის განვითარებაზე (110.1 მლნ ლარი), იძულებით გადაადგილებულ პირთა და მიგრანტთა ხელშეწყობაზე (100.3 მლნ ლარი), რეგიონული და მუნიციპალური ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციაზე (84.3 მლნ ლარი), საზოგადოებრივ წესრიგსა და საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება/გაღრმავებაზე (80.8 მლნ ლარი) და ტურისტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესების ღონისძიებებზე (56.6 მლნ ლარი).

ფინანსური აქტივების ზრდის მუხლით გადასახდელები (270.2 მლნ ლარი) 9 თვის გეგმის 123.0%-ს და წლიური გეგმის 63.7%-ს შეადგენს. აღნიშნული მუხლით გაწეული გადასახდელები განაწილებულია თავდაცვის სამინისტროზე (87.1 მლნ ლარის ოდენობით), ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროზე (17.4 მლნ ლარის ოდენობით), რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროზე (44.8 მლნ ლარის ოდენობით) და საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე (120.8 მლნ ლარის ოდენობით).



ვალდებულებების კლების მუხლით გადასახდელები (1,039.6 მლნ ლარი) შესრულების კარგი დონით ხასიათდება და 9 თვის გეგმის 99.4%-ს და წლიური გეგმის 73.4%-ს შეადგენს. აღნიშნული გადასახდელების დიდი ნაწილი, 1,007.6 მლნ ლარის ოდენობით, საგარეო სახელმწიფო ვალდებულებების დაფარვაზე მოდის.

	9 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
ვალდებულებების კლება	1,039.6	99.4%	73.4%
საშინაო	32.1	91.8%	74.7%
საგარეო	1,007.6	99.6%	73.3%




აღსანიშნავია, რომ საქართველოს 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული პროგრამული კოდების გარდა, 9 თვეში გაწეული გადასახდელები მოიცავს დამატებით 7 პროგრამულ კოდს, რომელთა ფარგლებშიც მოხდა სახსრების ათვისება:

- “სახელმწიფო კლინიკების მართვა” (პროგრამული კოდი - 27 03 05) - 4.0 მლნ ლარის ოდენობით;
- “სსიპ - ქუთაისის საერთაშორისო უნივერსიტეტი” (პროგრამული კოდი - 58 00) - 1.7 მლნ ლარის ოდენობით;
- “მაღალმთიან დასახლებებში სამეწარმეო საქმიანობის ხელშეწყობის პროგრამა” (პროგრამული კოდი - 31 05 22) - 1.4 მლნ ლარის ოდენობით;
- „ა(ა)იპ - მშვიდობის ფონდი უკეთესი მომავლისთვის“ (პროგრამული კოდი - 60 00) - 0.3 მლნ ლარის ოდენობით;
- “ა(ა)იპ - ათასწლეულის ფონდი” (პროგრამული კოდი - 59 00) - 0.1 მლნ ლარის ოდენობით;
- “არასტანდარტული ვაშლის მოსავლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა” (პროგრამული კოდი - 31 05 21) - 36.0 ათასი ლარის ოდენობით.
- „საზღვაო ტრანსპორტის რეგულირება, მართვა და განვითარება“ (პროგრამული კოდი - 24 28) - 23.0 ათასი ლარის ოდენობით.

რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტით განსაზღვრული საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებს, იანვარ-სექტემბერში, საგარეო და საშინაო სახელმწიფო ვალდებულებების მომსახურებასა და დაფარვაზე 2,401.2 მლნ ლარი მიმართა, 9 თვის გეგმის 96.8% და წლიური გეგმის 76.1%. ავტონომიური რესპუბლიკებისა და მუნიციპალიტეტებისათვის გადაცემულმა ტრანსფერებმა 1,001.2 მლნ ლარი შეადგინა (საიდანაც 401.0 მლნ ლარი კაპიტალურ ტრანსფერს წარმოადგენს, 599.3 მლნ ლარი - სპეციალურ ტრანსფერს და 1.0 მლნ ლარი - მიზნობრივ ტრანსფერს). დაგროვებითი საპენსიო სქემის თანადაფინანსებაზე 355.0 მლნ ლარი მიიმართა. გარდა ამისა, აღსანიშნავია, რომ მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან ათვისებულ იქნა თანხები, შესაბამისად, 478.9 მლნ ლარის, 34.3 მლნ ლარის და 2.1 მლნ ლარის ოდენობით.

იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსურ აქტივებზე ოპერაციების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით გაწეულმა გადასახდელებმა 17,967.9 მლნ ლარი შეადგინა (9 თვის გეგმის 92.6% და წლიური გეგმის 68.8%). ქვემოთ მოცემულ დიაგრამაზე წარმოდგენილია სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფაქტობრივი მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში:


2025 წლის 9 თვის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებლები ფუნქციონალურ ქრილში (მლნ ლარი)



სახელმწიფო ბიუჯეტის გადასახდელები სამინისტროების მიხედვით

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის 9 თვის გადასახდელებიდან (19,277.7 მლნ ლარი), მხარტავ დაწესებულებებზე 15,374.8 მლნ ლარი მიიმართა, ხოლო საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელებზე - 3,902.8 მლნ ლარი (მთლიანი გადასახდელების 20.2%). თავის მხრივ, მხარტავი დაწესებულებების მიერ ათვისებული თანხებიდან, 14,579.2 მლნ ლარი (რაც მთლიანი გადასახდელების 75.6%-ს შეადგენს), სამინისტროების მიერ ათვისებულ სახსრებზე მოდის, ხოლო 795.6 მლნ ლარი - სხვა დანარჩენ მხარტავ დაწესებულებებზე (მთლიანი გადასახდელების 4.1%).

2025 წლის 9 თვეში გაწეული გადასახდელების სტრუქტურა (მლნ ლარი)



ქვემოთ მოცემულ ცხრილში წარმოდგენილია 2025 წლის იანვარ-სექტემბერში სამინისტროების მიერ ათვისებული თანხები:

2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სამინისტროებისათვის გამოყოფილი სახსრების ათვისება 9 თვეში (მლნ ლარი)

დასახელება	2025 წლის გეგმა	9 თვის გეგმა	9 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
საქართველოს ფინანსთა სამინისტრო	121.0	96.9	79.6	82.2%	65.8%
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	947.0	698.4	474.9	68.0%	50.1%
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	3,125.0	2,071.6	1,761.2	85.0%	56.4%
საქართველოს იუსტიციის სამინისტრო	442.0	317.6	263.0	82.8%	59.5%
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	8,820.0	6,609.2	6,585.9	99.6%	74.7%
საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრო	215.0	163.8	143.8	87.8%	66.9%
საქართველოს თავდაცვის სამინისტრო	1,730.0	1,376.5	1,221.8	88.8%	70.6%
საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო	1,395.0	1,051.1	996.8	94.8%	71.5%
საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო	808.1	602.7	579.0	96.1%	71.7%
საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო	3,085.0	2,270.6	2,058.0	90.6%	66.7%
საქართველოს კულტურის სამინისტრო	297.6	233.7	174.7	74.8%	58.7%
საქართველოს სპორტის სამინისტრო	298.4	239.0	240.4	100.6%	80.6%

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 79.6 მლნ ლარი აითვისა, რაც წლიური გეგმის (121.0 მლნ ლარი) 65.8%-ს და 9 თვის გეგმის (96.9 მლნ ლარი) 82.2%-ს შეადგენს.

ფინანსთა სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-სექტემბერში გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი აღემატება 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს. კერძოდ, 2022 წლის 9 თვის გადასახდელებმა 68.8 მლნ ლარი, 2023 წლის 9 თვის გადასახდელებმა 56.9 მლნ ლარი, ხოლო 2024 წლის 9 თვის გადასახდელებმა 78.3 მლნ ლარი შეადგინა.


მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების მაჩვენებელი 474.9 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (947.0 მლნ ლარი) 50.1% და 9 თვის გეგმის (698.4 მლნ ლარი) 68.0%-ია.

სამინისტროს აღნიშნული გადასახდელები (474.9 მლნ ლარი) 2023-2024 წლების მაჩვენებლებზე მეტია, ხოლო 2022 წლის მაჩვენებელს ჩამორჩება.


2025 წლის იანვარ-სექტემბერში, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ 1,761.2 მლნ ლარია ათვისებული, რაც სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული წლიური მოცულობის (3,125.0 მლნ ლარი) 56.4%-ს და 9 თვის გეგმის (2,071.6 მლნ ლარი) 85.0%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, საანგარიშო პერიოდის გადასახდელების ფაქტობრივი მაჩვენებელი (1,761.2 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს ჩამორჩება.


ფინანსთა სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 9 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



ეკონომიკის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 9 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 9 თვის მაჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 263.0 მლნ ლარს შეადგენს, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (442.0 მლნ ლარი) 59.5%-ს და 9 თვის გეგმის (317.6 მლნ ლარი) 82.8%-ს უტოლდება.




იუსტიციის სამინისტროს, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში გადასახდელები (263.0 მლნ ლარი), 2022 წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია, ხოლო 2023-2024 წლების მაჩვენებელთან შედარებით - შემცირებული.

2025 წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაწეული მთლიანი გადასახდელების მესამედი (34.2%), 6,585.9 მლნ ლარის ოდენობით, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროზე მოდის, რაც სამინისტროსთვის დამტკიცებული წლიური გეგმის (8,820.0 მლნ ლარი) 74.7%-ს და 9 თვის გეგმის (6,609.2 მლნ ლარი) 99.6%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში (6,585.9 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით, შესამჩნევად მომატებულია.


საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-სექტემბერში ათვისებული ასიგნებები 143.8 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (215.0 მლნ ლარი) 66.9%-ს და 9 თვის გეგმის (163.8 მლნ ლარი) 87.8%-ს უტოლდება.

აღნიშნული სამინისტროს გადასახდელები (143.8 მლნ ლარი), 2022-2024 წლების საანგარიშო პერიოდის მაჩვენებლებთან შედარებით, გაზრდილია.




საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის 9 თვეში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების მოცულობა 1,221.8 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (1,730.0 მლნ ლარი) 70.6%-ს და 9 თვის გეგმის (1,376.5 მლნ ლარი) 88.8%-ს შეადგენს.

თავდაცვის სამინისტროს, 2025 წლის იანვარ-სექტემბრის გადასახდელები (1,221.8 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებს აღემატება.




საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, 2025 წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან 996.8 მლნ ლარი აითვისა, რაც სამინისტროს ასიგნებების წლიური გეგმის (1,395.0 მლნ ლარი) 71.5%-ს და 9 თვის გეგმის (1,051.1 მლნ ლარი) 94.8%-ს შეადგენს.

აღნიშნული სამინისტროს, მიმდინარე წლის 9 თვის გადასახდელების ფაქტობრივი მოცულობა (996.8 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიური მაჩვენებლებთან შედარებით, მომატებულია.



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ, მიმდინარე წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 579.0 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (808.1 მლნ ლარი) 71.7%-ს და 9 თვის გეგმის (602.7 მლნ ლარი) 96.1%-ს უტოლდება.


მოცემული სამინისტროს, 2025 წლის 9 თვის გადასახდელები (579.0 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მაჩვენებლებთან შედარებით გაზრდილია.



საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებების ათვისების 9 თვის მარჩვენებელი 2,058.0 მლნ ლარს, სამინისტროს წლიური გეგმის (3,085.0 მლნ ლარი) 66.7%-ს და 9 თვის გეგმის (2,270.6 მლნ ლარი) 90.6%-ს შეადგენს.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში, სამინისტროს გადასახდელები (2,058.0 მლნ ლარი), 2022-2024 წლების ანალოგიურ მარჩვენებლებს აღემატება.

განათლების სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 9 თვის მარჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)




საქართველოს კულტურის სამინისტროს მიერ, 2025 წლის იანვარ-სექტემბერში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებულია 174.7 მლნ ლარი, რაც სამინისტროს წლიური გეგმის (297.6 მლნ ლარი) 58.7%-ს და 9 თვის გეგმის (233.7 მლნ ლარი) 74.8%-ს შეადგენს.

რაც შეეხება საქართველოს სპორტის სამინისტროს, საანგარიშო პერიოდში, აღნიშნული სამინისტროს მიერ ათვისებული სახსრები 240.4 მლნ ლარს შეადგენს, რაც წლიური გეგმის (298.4 მლნ ლარი) 80.6% და 9 თვის გეგმის (239.0 მლნ ლარი) 100.6%-ია.

აღსანიშნავია, რომ 2025 წლიდან მოხდა კულტურისა და სპორტის სამინისტროს გაყოფა და ჩამოყალიბდა 2 სამინისტრო - კულტურის სამინისტრო და სპორტის სამინისტრო. აღნიშნული სამინისტროების მიერ, მიმდინარე წლის საანგარიშო პერიოდში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ათვისებული ასიგნებების ჯამური სიდიდე (415.1 მლნ ლარი) 2022-2024 წლების ანალოგიურ მარჩვენებლებს აღემატება.

კულტურის სამინისტროსა და სპორტის სამინისტროს მიერ ათვისებული ასიგნებების წლიური და 9 თვის მარჩვენებლები 2022-2025 წლებში (მლნ ლარი)



*2025 წლის წლიური მარჩვენებელი (ლურჯი სვეტი) გულისხმობს 2025 წლის წლიურ დამტკიცებულ გეგმას.

დანართები

დანართი 1: სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 9 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა*	2025 წლის 9 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 9 თვის ფაქტთან
შემოსულობები	19,002.8	27,560.8	20,013.1	20,489.1	102.4%	74.3%	7.8%
შემოსავლები	16,213.0	23,434.9	17,332.9	17,767.1	102.5%	75.8%	9.6%
გადასახადები	14,883.4	21,885.0	16,155.0	16,176.2	100.1%	73.9%	8.7%
საშემოსავლო გადასახადი	4,942.1	7,369.0	5,499.0	5,570.3	101.3%	75.6%	12.7%
მოგების გადასახადი	2,498.9	3,070.0	2,385.0	2,174.4	91.2%	70.8%	-13.0%
დღგ	5,586.6	8,136.0	6,024.0	5,923.4	98.3%	72.8%	6.0%
აქციზი	1,839.4	2,650.0	1,933.0	1,911.4	98.9%	72.1%	3.9%
იმპორტის გადასახადი	105.1	150.0	114.0	107.9	94.6%	71.9%	2.7%
სხვა გადასახადები	-88.7	510.0	200.0	488.8	244.4%	95.8%	-651.0%
გრანტები	243.0	199.9	144.5	199.7	138.2%	99.9%	-17.8%
სხვა შემოსავლები	1,086.7	1,350.0	1,033.4	1,391.2	134.6%	103.1%	28.0%
არაფინანსური აქტივების კლება	181.7	300.0	228.0	262.0	114.9%	87.3%	44.2%
ფინანსური აქტივების კლება (ნაშთის გამოკლებით)	268.9	400.0	198.0	270.2	136.4%	67.5%	0.5%
ვალდებულებების ზრდა	2,339.1	3,425.9	2,254.2	2,189.8	97.1%	63.9%	-6.4%
საშინაო	1,022.4	1,600.0	1,135.4	1,122.1	98.8%	70.1%	9.8%
საგარეო	1,316.7	1,825.9	1,118.8	1,067.8	95.4%	58.5%	-18.9%
გადასახდელები	18,248.4	27,941.7	20,669.1	19,277.7	93.3%	69.0%	5.6%
ხარჯები	14,217.5	21,842.0	16,260.5	15,922.4	97.9%	72.9%	12.0%
შრომის ანაზღაურება	1,844.2	3,035.0	2,261.0	2,100.8	92.9%	69.2%	13.9%
საქონელი და მომსახურება	1,609.0	2,485.3	1,871.2	1,609.7	86.0%	64.8%	0.0%
პროცენტი	1,190.8	1,745.0	1,440.1	1,365.8	94.8%	78.3%	14.7%
სუბსიდიები	762.6	1,021.6	767.7	789.2	102.8%	77.2%	3.5%
გრანტები	1,108.1	1,856.5	1,276.6	1,349.6	105.7%	72.7%	21.8%
სოციალური უზრუნველყოფა	5,740.7	8,446.3	6,328.5	6,446.3	101.9%	76.3%	12.3%
სხვა ხარჯები	1,962.1	3,252.3	2,315.5	2,261.1	97.7%	69.5%	15.2%
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,923.9	4,258.9	3,142.7	2,045.5	65.1%	48.0%	-30.0%
ფინანსური აქტივების ზრდა (ნაშთის გამოკლებით)	182.1	424.1	219.6	270.2	123.0%	63.7%	48.4%
ვალდებულებების კლება	925.0	1,416.7	1,046.3	1,039.6	99.4%	73.4%	12.4%
საშინაო	34.7	42.9	34.9	32.1	91.8%	74.7%	-7.6%
საგარეო	890.3	1,373.8	1,011.4	1,007.6	99.6%	73.3%	13.2%
ნაშთის ცვლილება (+ დაგროვება / - გამოყენება)	754.3	-381.0	-656.0	1,211.5			

* 9 თვის გეგმა წარმოდგენილია 2025 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კვარტალური განხერხის მიხედვით (ფინანსთა მინისტრის 2024 წლის 30 დეკემბრის ბრძანება №434)

დანართი 2: სახელმწიფო ბიუჯეტის ბალანსი (მლნ ლარი)

დასახელება	2024 წლის 9 თვის ფაქტი	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %	%-ული ცვლილება წინა წლის 9 თვის ფაქტთან
შემოსავლები	16,213.0	23,434.9	17,332.9	17,767.1	102.5%	75.8%	9.6%
გადასახადები	14,883.4	21,885.0	16,155.0	16,176.2	100.1%	73.9%	8.7%
გრანტები	243.0	199.9	144.5	199.7	138.2%	99.9%	-17.8%
სხვა შემოსავლები	1,086.7	1,350.0	1,033.4	1,391.2	134.6%	103.1%	28.0%
ხარჯები	14,217.5	21,842.0	16,260.5	15,922.4	97.9%	72.9%	12.0%
შრომის ანაზღაურება	1,844.2	3,035.0	2,261.0	2,100.8	92.9%	69.2%	13.9%
საქონელი და მომსახურება	1,609.0	2,485.3	1,871.2	1,609.7	86.0%	64.8%	0.0%
პროცენტი	1,190.8	1,745.0	1,440.1	1,365.8	94.8%	78.3%	14.7%
სუბსიდიები	762.6	1,021.6	767.7	789.2	102.8%	77.2%	3.5%
გრანტები	1,108.1	1,856.5	1,276.6	1,349.6	105.7%	72.7%	21.8%
სოციალური უზრუნველყოფა	5,740.7	8,446.3	6,328.5	6,446.3	101.9%	76.3%	12.3%
სხვა ხარჯები	1,962.1	3,252.3	2,315.5	2,261.1	97.7%	69.5%	15.2%
საოპერაციო სალდო	1,995.6	1,592.9	1,072.4	1,844.7	172.0%	115.8%	-7.6%
არაფინანსური აქტივების ცვლილება	2,742.2	3,958.9	2,914.7	1,783.5	61.2%	45.0%	-35.0%
ზრდა	2,923.9	4,258.9	3,142.7	2,045.5	65.1%	48.0%	-30.0%
კლება	181.7	300.0	228.0	262.0	114.9%	87.3%	44.2%
მთლიანი სალდო	-746.6	-2,366.0	-1,842.3	61.2	-3.3%	-2.6%	-108.2%
ფინანსური აქტივების ცვლილება	667.5	-356.9	-634.4	1,211.5	-190.9%	-339.5%	81.5%
ზრდა	936.4	424.1	219.6	1,481.6	674.8%	349.4%	58.2%
ვალუტა და დეპოზიტები	754.3	0.0	0.0	1,211.5			60.6%
სესხები	180.9	421.7	217.1	183.0	84.3%	43.4%	1.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	1.2	2.5	2.5	87.1	3556.8%	3556.8%	7322.5%
კლება	268.9	781.0	854.0	270.2	31.6%	34.6%	0.5%
ვალუტა და დეპოზიტები	0.0	381.0	656.0	0.0	0.0%	0.0%	
სესხები	268.9	400.0	198.0	269.3	136.0%	67.3%	0.2%
აქციები და სხვა კაპიტალი	0.0	0.0	0.0	0.8			
გალდებულებების ცვლილება	1,414.1	2,009.1	1,207.8	1,150.2	95.2%	57.3%	-18.7%
ზრდა	2,339.1	3,425.9	2,254.2	2,189.8	97.1%	63.9%	-6.4%
საშინაო	1,022.4	1,600.0	1,135.4	1,122.1	98.8%	70.1%	9.8%
საგარეო	1,316.7	1,825.9	1,118.8	1,067.8	95.4%	58.5%	-18.9%
კლება	925.0	1,416.7	1,046.3	1,039.6	99.4%	73.4%	12.4%
საშინაო	34.7	42.9	34.9	32.1	91.8%	74.7%	-7.6%
საგარეო	890.3	1,373.8	1,011.4	1,007.6	99.6%	73.3%	13.2%
ბალანსი	0.0	0.0	0.0	0.0			

დანართი 3: სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები (მლნ ლარი)

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
00 00	სულ ჯამი	27,941.7	20,669.1	19,277.7	93.3%	69.0%
01 00	საქართველოს პარლამენტი და მასთან არსებული ორგანიზაციები	109.3	81.4	59.3	72.8%	54.2%
01 01	საკანონმდებლო საქმიანობა	91.5	68.1	48.2	70.8%	52.7%
01 01 01	საკანონმდებლო, წარმომადგენლობითი და საზედამხედველო საქმიანობა	38.4	28.2	17.1	60.6%	44.4%
01 01 02	საპარლამენტო ფრაქციების და პარლამენტის წევრების საქმიანობა	11.0	8.2	6.5	78.7%	59.0%
01 01 03	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრაციული მხარდაჭერა	42.2	31.7	24.7	77.9%	58.5%
01 01 03 01	საკანონმდებლო საქმიანობის ადმინისტრირება	42.1	31.7	24.7	78.0%	58.6%
01 01 03 02	გენდერულ საკითხებზე სისტემური და კოორდინირებული მუშაობის უზრუნველყოფა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა და ქალთა გაძლიერების მხარდაჭერი ღონისძიებების განხორციელება	0.1	0.0	0.0	0.0%	0.0%
01 02	საბიბლიოთეკო საქმიანობა	15.6	11.7	10.2	86.6%	65.0%
01 03	ჰერალდიკური საქმიანობის სახელმწიფო რეგულირება	0.7	0.6	0.4	69.8%	53.6%
01 04	საქართველოს პარლამენტის ანალიტიკური და კვლევითი საქმიანობის გაძლიერება	1.4	1.1	0.5	45.7%	34.6%
02 00	საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაცია	10.0	7.8	4.5	57.8%	45.2%
03 00	საქართველოს ბიზნესომბუდსმენის აპარატი	1.0	0.7	0.6	89.5%	67.1%
04 00	საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია	29.0	23.1	16.0	69.3%	55.1%
05 00	სახელმწიფო აუდიტის სამსახური	25.3	20.5	17.3	84.3%	68.3%
06 00	საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია	129.1	87.4	65.7	75.1%	50.9%
06 01	საარჩევნო გარემოს განვითარება	33.3	25.9	22.0	84.8%	66.0%
06 02	საარჩევნო ინსტიტუციის განვითარების და სამოქალაქო განათლების ხელშეწყობა	2.3	1.9	1.7	87.0%	72.4%
06 03	პოლიტიკური პარტიების დაფინანსება	12.7	10.2	7.0	68.7%	55.0%
06 04	არჩევნების ჩატარების ღონისძიებები	80.8	49.4	35.0	70.9%	43.3%
07 00	საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო	6.8	5.1	4.2	81.4%	61.5%
08 00	საქართველოს უზენაესი სასამართლო	20.8	15.8	13.4	85.1%	64.5%
09 00	საერთო სასამართლოები	164.5	124.8	91.9	73.7%	55.9%
09 01	საერთო სასამართლოების სისტემის განვითარება და ხელშეწყობა	160.0	121.2	90.6	74.8%	56.6%
09 02	მოსამართლეებისა და სასამართლოს თანამშრომლების მომზადება-გადამზადება	4.5	3.5	1.3	36.0%	28.3%
10 00	საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო	12.6	10.8	4.9	45.2%	38.8%
11 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია აბაშის, ზუგდიდის, მარტვილის, მესტიის, სენაკის, ჩხოროწყუს, წალენჯიხის, ხობის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ფოთის მუნიციპალიტეტში	1.5	1.1	0.9	83.1%	62.3%
12 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ლანჩხუთის, ოზურგეთისა და ჩოხატაურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.8	82.4%	62.8%
13 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბაღდათის, ვანის, ზესტაფონის, თერჯოლის, სამტრედიის, სარჩხვის, ტყიბულის, წყალტუბოს, ჭიათურის, ხარაგაულის, ხონის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტში	1.5	1.1	1.0	85.9%	67.1%
14 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ახმეტის, გურჯაანის, დედოფლისწყაროს, თელავის, ლაგოდეხის, საგარეჯოს, სიღნაღისა და ყვარლის მუნიციპალიტეტებში	1.3	0.9	0.9	92.4%	70.1%
15 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია დუშეთის, თიანეთის, მცხეთისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.7	81.2%	61.2%

კოდი	დასახელება	2025 წლის წლიური გეგმა	2025 წლის 9 თვის გეგმა	2025 წლის 9 თვის ფაქტი	9 თვის გეგმის შესრულების %	წლიური გეგმის შესრულების %
16 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ამბროლაურის, ლენტეხის, ონისა და ცაგერის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.9	94.0%	71.4%
17 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში	1.1	0.8	0.7	88.3%	66.4%
18 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, თეთრი წყაროს, მარნეულის, წალკის მუნიციპალიტეტებსა და ქალაქ რუსთავის მუნიციპალიტეტში	1.6	1.2	1.0	79.1%	61.5%
19 00	სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია გორის, კასპის, ქარელისა და ხაშურის მუნიციპალიტეტებში	1.2	0.9	0.7	80.7%	61.7%
20 00	საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	226.0	175.1	151.0	86.2%	66.8%
